



ბაკურიანი
70-მეტრიანი
ტრაპეზიანი
მ. ზარგარიანის ფოტო.

მასპინძლობს ბაკურიანი

ბაკურიანი განთქმულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი ზამთრის შეჯიბრებათათვის. მალე აქ გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა III ზამთრის სპორტაკადემიის ფინალური სპორტის რიგ სახეობებში. „პრავედის“ კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მ. მ. ჩხრეჭიანი, რომელიც მთავრობის მთავრობის სპეციალურ კომისიას სპორტაკადემიის ჩასატარებლად, გამზინა ამ შეჯიბრებათა სამზადისის შესახებ.

ბაკურიანი მზადაა მიიღოს სტუმრები, — ამბობს მ. მ. ჩხრეჭიანი. — იგი შესანიშნავი სპორტული ნაგებობებით გააჩვენებს სპორტაკადემიის მონაწილეებს. ტრამპლინები, საცივაო და სამთოსათხილამურო ტრასები მოწყობილია მოკლე ვადაში. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მშენებელთა გარდა მათს მზადებაში მონაწილეობდა მრავალი მოხალისე — სტუდენტები და სპორტსმენები.

აქ დაპროექტებული და აგებულია ახალი საბაგრო-სავარძლიანი გზები. ერთ-ერთი მათგანი, მიტარები—კობახა-2 2500 მეტრი სიგრძისაა. ტრამპლინებისკენ მიემართება სიგრძით 460 მეტრის საბაგრო-სავარძლიანი გზა. მოწყობილია, აგრეთვე, სწრაფდაშვების ახალი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 700 მეტრი, საერთო სიგრძე 8200 მეტრი), მავთულთათვის განკუთვნილი 8 ქოხით. ამას გარდა, აგებულია ქოხები სპორტსმენთა დახასვენებლად, შეეკეთებულა ყველა სპორტული ბაზა და სასტუმრო „ბაკურიანი“. დამთავრდა 2 სათხილამურო ტრამპლინის მშენებლობა, 850 მეტრი სიგრძის საცივაო ტრასა მ ვირაჟით. სპეციალისტთა მტკიცებით ყველა ეს ნაგებობა მასუბობს დღევანდელ საერთაშორისო დონეს.

საკმაოდაა შესრულებული სხვა სამუშაოებიც. მაგალითად, კეთილმოეწყობა გზები ხაშური — ბორჯომი და ბორჯომი — ბაკურიანი, გაიხსნა ტრავმატოლოგიური საავადმყოფო, დამთავრდა სატე-

ლეფონო ქსელი, გაყვანილია წყალსადენის ახალი ტრასა, კავშირგაბმულობის ხაზები. პირდაპირი სატელეფონო ხაზი იმუშავებს სენდლოვსკთან, სადაც, აგრეთვე, ჩატარდება სსრ კავშირის ხალხთა III ზამთრის სპორტაკადემიის ფინალური სპორტის რიგ სახეობებში და მემონტაჟები მუშაობდნენ მძიმე კლიმატურ პირობებში.

სტუმრად ველით 1300 კაცზე მეტს. ღამაზად და საზეიმოდ მოწყობილ თბილისის, ხაშურისა და ბორჯომის ვაგზლებზე შეჯიბრებათა მონაწილეებს დახვდებიან მასპინძლები, რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის აქტივისტები. შემუშავებულია სპორტს-

მენთა შეხვედრების გეგმა პოეტებთან და მწერლებთან, სტუმრებისთვის მოწყობა კონცერტები, საესტრადო ანსამბლების გამოსვლები და ა. შ. ადგილობრივი კოლექტივები შეფობას აიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებზე.

— ახლა ბაკურიანი სტუმრებს ელის, ჩვენ გვინდა, რომ ისინი კმაყოფილი დარჩნენ და სპორტსმენებს ვუსურვებთ მაღალ შედეგებს. — თქვა დასასრულს მ. მ. ჩხრეჭიანი.

მ. ლეხანიძე,
(„პრავედის“ კორ.).

ქ. თბილისი.

სპორტსმენებზე ქ რ ი ღ ღ ე ღ ე რ ი ნ ე

პროლეტარებო ყველა ძველნი, შეერთდით!



საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 45
(5075)

1974 წ.

მარტი,
საშუაგათი,
შავი 3 კაა.

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

მასსენება გაღმეფებში სტარტებს ნინ

ბაკურიანი, 4 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). თრითვე დღევ და აქ დაიწყება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპორტაკადემიის ფინალური ტურნირი, რომელსაც წინ უძღვდა კოლექტივების, რაიონების, ქალაქების, ოლქების, მხარეების, მოკავშირე რესპუბლიკების სპორტაკადემიები. სწორედ აქ, ბაკურიანში, შემოწმდება 1966 წლის მარტში გამართული II სპორტაკადემიის შემდეგ სამთოსათხილამურო სპორტში, ორჭიდში, ტრამპლინიდან სტომაში გაწეული მუშაობა, აქ მოქმედებდა პირველი შეჯიბრება სპორტაკადემიის დონეზე. შედარებით ახალ სახეობაში — საცივაო სპორტში. აქ, ბაკურიანში, 12 წლის წინათ, 1962 წლის მარტში, პირველად ჩაეყარა საფუძველი კომპლექსურ ღონისძიებას, ორჭიდულსა და ტრამპლინიდან მსტომელებს მასპინძლობდა (სპორტაკადემიის ძირითადი ცენტრი სვერდლოვსკი იყო).

საქართველოს „თეთრმა მარგალიტმა“ 12 წლის წინათ გალი პირნათლად მოიხადა — სპორტაკადემიის პრო-

გრამით გათვალისწინებული ყველა შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. ასპარეზობათა შედეგებით ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოები დარჩნენ მასპინძლები — საქართველოს სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკის მოთხილამურებმა ბაკურიანში ორი თქრის მედალი მოიპოვეს, საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს კი ორი კაცი შეემატა.

ბაკურიანელი „მწრინავი ტორპედო“ კონა წაქაძე მამინ უკვე საქმეწოდ ცნობილი სპორტსმენი გახლდათ, მაგრამ პირველად მათზე აგებული 70-მეტრიან ტრამპლინიდან სტომაში თქრის მედალს ასევე ტიტულოვანი მეტოქენი ეცილებოდნენ. წაქაძემ მაიც გაიმარჯვა, 62,5 და 68,5 მეტრზე გადასტა და 221,5 ქულა მოაგროვა. ქართველი სპორტსმენის ჩემპიონობა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა.

სენსაციას სულ სხვა მხრიდან მოვიდა. იგი შემოგვათავაზა ბაკურიანელმა სამთოსათხილამურებმა „ლინამის“ ბაზის ინსტრუქტორმა იბრაჰიმ ჯანგაბეგოვმა. მანამდე თითქმის უცნობმა პირველთაწილისა მამა ჯანგაბეგოვმა სპეციალური სლალომის 550-მეტრიან ტრასაზე პირველივე ცდით საგრძნობლად შეაფრთხა ფაგორტები. მეორე



ცდაზე კიდევ უფრო უკეთ დაეშვა და აღიარებულ ოსტატებს ჩემპიონის თქრის მედალი თვალსა და ხელს შუა გამოაცალა. ვ. რუმინცევს იბრაჰიმმა 0,3 წამი მოუტო, ვ. ტალიანოვს კი — 1,5 წამი. ჯანგაბეგოვმა ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა: ზემოთნიც გახდა და სპორტის ოსტატობაც მოიპოვა.

შოთა კოზნაშვილმაც სწორედ მამინ გამოიჩინა თავი და VI ადგილი დაიკავა. ცოტა ადრე, გვიანტურ სლალომში, სადაც რუმინცევმა გაიმარჯვა, კოზნაშვილმა VIII ადგილი დაიკავა. შოთა იყო საქართველოს მეორე მოთხილამურე, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპორტაკადემიაში სამკვიდრო IV ადგილის მოპოვებით სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

1962 წლის ასპარეზობაში კარგად გამოვიდნენ ბაკურიანელი ლიანა გოგლაძე და მესტიელი ბორის კახიანიც. ლიანამ სპეციალურ სლალომში VII ადგილი დაიკავა, სწრაფდაშვებასა და

(დასასრული მე-2 გვ.)

„ქ მ რ ტ ს“ ფ ი ნ ა ლ ი



რაუბინში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში. შაბათს ვიქები 10 კილომეტრზე დარბოდნენ და ორ საცესსლე პოზიციასე ისროდნენ. სსრ კავშირის სპორტსმენებმა თავი ვერც ამჯერად გამოიჩინეს. მათგან ხაუკეთესომ ნ. კრუგლოვმა სამიწუნს 4 ტყვია ააცდინა და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდა — 39.13,99.

სხვე რეზორც 20 კილომეტრზე რბინისას, ოქროს მედალი ახლაც ფინელმა ი. სუტარინენმა მოიპოვა — 37.42,43 (2^ა საჯარიმო წუთი). ვერცსლის მედალი წილად ხვდა გ. ბარტნიეს (გერ) — 38.30,73 (4), ბრინჯაოსი — ტ. ვადმანს (შვეიცია) — 38.44,03 (2).

სამაგიეროდ, მასპინძლებმა კვირას თავი გამოიჩინეს პროგრამის პოლოსისხეობაში — 4x7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში. იუგოსლავია ა. უმაკოვმა, ნოვოსიბირსკელმა ა. ტიხონოვმა, მინ-

კელმა ი. კოლმაკოვმა და გორკელმა ნ. კრუგლოვმა ოქროს მედალები დაისაკუთრეს — 2:02.48,75. II ადგილზე გავიდნენ ფინელები, ორგზის მსოფლიო ჩემპიონ სუტარინენის მეოთხეობით — 2:04.08,89. ბრინჯაოს მედალები ნორვეგიელებმა მოიპოვეს — 2:05.15,35.

გაერთხა ფრა და ი ფ ყ რ

კოსლოვდსკში გრძელდება მოქალაქე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტობის ორი საგზურის მძიებელთა მატჩ-ტურნირი. გათამაშდა კიდევ ორი (IX, X) ტური.

IX ტურში ნ. ალექსანდრიამ (თბილისი) სძლია ნ. კონოპლიოვას (მოსკოვი), მ. შულმა (ლევი) — ი. ლევიტანს. ამ ტურით დასრულდა მატჩ-ტურნირის III წრე ამ წრეში ალექსანდრიამ 2,5 ქულა მოაგროვა, შულმა — 2, ლევიტი-

ნამ — 1,5. კონოპლიოვამ სამივე პარტია წააგო.

X ტურით მეტოქენი IV წრის შეხვედრებს შეუდგნენ. ალექსანდრია და ლევიტანა ყაიმს დასჯერდნენ. შულმა მოსაგებ მდგომარეობაში გადადო პარტია კონოპლიოვასთან.

10 ტურის შემდეგ ალექსანდრიას 7,5 ქულა აქვს, ლევიტანის — 5,5, შულს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, კონოპლიოვას — 1 (1).

